572
1973/2

1973 სექტემბერი N 9

ოქტომბერი

სკოლისაკენ

გრიგოლ ჯულუხიძე

ნახატი ზურაბ ქაპანაძისა

მიჰქრის ავტო,
გზაა ფართო,
სოფლად დარჩა
ბებო
მარტო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსო

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

დარდიანია ლექსო. ხვალ პირველი სექტემბერია, მისი ძმა სკოლაში წავა, ის კი საბავშვო ბაღში ივლის.

— ნუ დარდობ, ბებო გენაცვალოს, კაცი არა ხარ? ერთი ყურძნობა ვეღარ უნდა მოითმინო?—ამშვიდებს ბებია.

ლექსომ იცის, რას ნიშნავს ერთი ყურძნობა—ერთი წელი კიდევ უნდა მოითმინოს, მაგრამ მოთმენა არ გინდა?

იმ საღამოთი გულჯავრიანმა ლექსომ ყველაზე ადრე დაიძინა და დილითაც ადრე გაიღვიძა. მიიხედ-მოიხედა, ძმა ისევ ხვრინავდა.

აი, ძილისგუდა, დღეს სკოლაში პირველად მიდის და არხეინად სძინავს, აფსუს, რატომ მე არ მივდივარ სკოლაში?—გაიფიქრა ლექსომ და ძმის ახალთახალ ჩანთას შურით გახედა.

ამ დროს შორიდან ზარის ხმაც მოესმა:

— ნაუ, ნაუ, ნაუ!

— ეს ალბათ სკოლის ზარია, ბავშვებს ეძახის,—თქვა ლექსომ და საწოლში წამოჯდა, თვალი ისევ ძმის ჩანთისაკენ გაექცა.

— მოდი, მე და შენ წავიდეთ სკოლაში!—გაუღიმა ჩანთამ ლექსოს.

— მერე, ჩემი ძმა?—ჩუმად დაეკითხა ბიჭი.

— სკოლას ძილისგუდა და ზარმაცი არ უყვარს, შენ ხომ ადრე გაიღვიძე, მიდი, რაღას უყურებ!

ზარმა ისევ დარეკა:

— ნაუ, ნაუ!

ლექსოს აღარ დაუყოვნებია, საწოლიდან ჩიტივით წამოფრინდა, ჩაიცვა, პირი დაიბანა, წიგნების ჩანთას ხელი დასტაცა და ოთახიდან ფეხაკრეფით გაიპარა.

— ნაუ, ნაუ!—უფრო ახლოს მოისმა ზარის ხმა, თითქოს ლექსო კი არ მიდიოდა სკოლისაკენ, სკოლა თვითონ მოდიოდა ლექსოსთან.

ლექსო გარბის.

— ნაუ, ნაუ,—ზარი იქვე, სადღაც ქუჩის

12.143

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კუთხეში რეკავს, მოსახვევში უცებ ცხენიანი ოთხთვალა გამოჩნდა. ზედ მენავთე კაპლო წამოსკუპებულა და რაც ძალი და ღონე აქვს, ზარს რეკავს, თან ყვირის:

— ნავთი, გასაყიდი ნავთი!

ლექსო შეჩერდა, დარცხვენილი უკან მობრუნდა და შინ ისე შეიპარა, ვერავინ გაიგო.

ვინ ნავიდა ქაჭკაჭების სკოლაში

ტყეში ორი ციყვი ცხოვრობდა. ერთს ბათქუნა ერქვა, მეორეს—ბუთქუნა.

ერთხელ ხის ძირში წიგნის ჩანთა იპოვეს.

— რა ვუყოთ ამ ჩანთასო?—იკითხა ბათქუნამ.

— აიღეთ და, კაჭკაჭების სკოლაში წადითო!—ჩამოსძახათ ხიდან კოდალამ.

ჩანთა ერთია, თვითონ კი ორნი იყვნენ. არც ერთს არ უნდოდა მისი დათმობა..

— ერთი ჩანთით ორნი როგორ წავიდეთ სკოლაში?

— ეგ ჩანთა იმისი იყოს, ვინც თქვენში ყველაზე ყოჩაღიაო.

— მე ვარ ყოჩაღიო!—წამოიძახა ბათქუნამ.

— არა, მეო!—აწრიპინდა ბუთქუნა.

— ეე, მაგრე არაო,—თქვა კოდალამ,—რაღაცით უნდა დაამტკიცოთ, რომ ერთიმეორეს ჯობიხართო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მეო,—თქვა ბუთქუნამ,—დილას 5 ცალი თხილი ჩავაკნატუნე, და ზედაც სამი ცალი მაჟალო ვაშლი დავაყოლეო.

— ეე, მაგას სიყოჩაღე კი არა, ღორმუცლობა ჰქვია, სიყოჩაღე სულ სხვა რამეაო!

— მაშ რა არის სიყოჩაღე; ბარემ გვითხარიო!—შესძახეს ციყვებმა.

— აი, რა, ერთ ამოცანას მოგახსენებთ! ვინც სწორად ამოხსნის, ყოჩაღიც ის იქნება და ჩანთაც იმაზე ალალი იყოსო.

— აბა, ჰეო!—ყურები ცქვიტეს ციყვებმა.

— ერთმა ღორმუცელა ციყვმა, ბუთქუნავ, შენზე არ გეგონოსო,—დასძინა კოდალამ,— ამ დილით ხუთი ცალი თხილი ჩააკნატუნა, და ზედაც სამი ცალი მაჟალო დააყოლა. სულ რამდენი იქნებაო?

ბათქუნამ თქვა:

— კბილი მოეჭრებოდაო!

ბუთქუნამ იანგარიშა, იანგარიშა და...

— ნეტავი კიდევ თუ აქვს ჩასაკნატუნებლად წაბლიო?

— ეეე, მაგ ცოდნით შორს ვერ წახვალთ, გეტყობათ ტვინი ხის კენწეროზე დაგრჩენიათო,—გადმოსძახა კოდალამ ციყვებს და ხის ფუღურო‌ში ნისკარტით ჭიაღუას დაუწყო ძებნა.

— ახლავე ჩამოვიტანოთო!—დაიწრიპინეს ციყვებმა და თავ-პირის მტვრევით ხის კენწეროზე აცვივდნენ.

ამ დროს ხის ძირას დათვის ბელმა ჩამოიარა. წიგნების ჩანთა რომ ნახა, ძალიან გაიხარა და კაჭკაჭების სკოლაშიც ის წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა ბაზრიდან მოვიდა

ოთარ შალამბერიძე

ჰოიდა, ბიჭო, ჰოიდა!
მამა ბაზრიდან მოვიდა.

გაჩნდა ვაშლი და ჯანჯური,
ეურძენიც—გამოჰრანჯული;

გაჩნდა ნესვი და საზამთრო,
მოვეშვათ ჩვენ-ჩვენ გასართობს;

გაჩნდა ლეღვი და ქლიავი,
ქლიავს გაუდის კრიალი;

გაჩნდა კომში და უნაბი,
ჩაეკითლებული გულაბი;

ჰოიდა, ბიჭო, ჰოიდა!
მამა ბაზრიდან მოვიდა!

ნახატი გიორგი როინიშვილისა

კაფა-თაგვოკანა

ნინო ლაღიძე

— ძე ვიქნები ფისუნია,—
დაიძახა გელამ,
და თაგვს—ლელას დასაჭერად
გამოუდგა ხელად.

დარბის ლელა, დასდევს გელა,
ჭრიალულობს ეკელა,
ლელა ეკირის:—ფისუნიავ,
ვერ დამიჭერ, ვერა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყარფუზა

ნოდარ კაკალიძე

ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

უხსოვარ დროს, ერთ სოფელში უღარიბესი, აღად-მართალი კაცი ცხოვრობდა, ყარფუზა ერქვა. ყარფუზასთანა გოლიათი ადამიანი ამ სოფელში კი არა, აღბათ მთელ დუნიაზე არავინ მოიძებნებოდა.

დაჯირკუღ, განიერ მხრებზე, ისე მარდად და მსუბუქად შემოიდებდა ცალუღელა ხარს, თითქოს ბუმბუღით გამოტენილი ყურთბალიში წამოეკიდოს. ახლა აღარ იტყვით, რა ნიჩაბივით ხელები ჰქონდა? თქვენს მტერს, ვისაც ის მოხვდებოდა, სათონე ღავაშივით გააბრტყელებდა. თუმცა, მუდამ დაჩაგრულთა მოსარჩელე და ქომაგი გახდათ. ამიტომ იყო, სოფელში გაჭირვების ტალკვესს ეძახდნენ და თვალში რომ ჩავარდნოდათ, თითს არ ამოისვამდნენ.

ყარფუზა არავის არაფერში დაზარდებოდა. ზოგს დასაბარზე მისდევდა, ზოგს—სათოხარზე, სამკალზე; ზოგს კიდევ—ტყეში მიჰყვებოდა, შეშას უმზადებდა და კარწინ საკენებად უწყობდა.

— ძია, ყარფუზ!—მიცვივდებოდნენ ბავშვები ყარფუზას ღობეს. ყარფუზაც გამოიზიზანებოდა თავის დაკონკილ შარვალ-ხალათში და ბავშვებისაკენ ღიმილით გასწევდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა იყო, თქვე პინკებო, გიპირთ რამე?— როხროხებდა ყარფუზა.

— გვიპირს მაა'შ, ძია ყარფუზ!—ყელს მოიღერებდა პატარა ირაკლი,—მამაჩემს შეშით დატვირთული ურემი ხრამში ჩაეჩეხა და ვეღარ ამოგვიტანია, თუ არ მოგვეშველე, ხარები დაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეხო�ება!

— ჰმ!—უღვაშებში ეღიმება ყარფუზას,— თქვე დაღლაცვიღებო, მერე და, აქამდის სად იყავით, წავიდეთ!..

ყარფუზა ქოხის კარს გამოიხურავს, ბავშვებს მხრებზე შეისვამს და ორღობეში გააბიჯებს.

ხრამში აბოლავებულ ურემთან ქვეყნის ხაღს მოუყრია თავი და ერთი ამბავი აქვთ. ბჟობენ, დავობენ, რა გზით ამოათრიონ ურემი.

ყარფუზას გამოჩენაზე ყველამ შვებით ამოისუნთქა. გოღიათს მყისვე გზა დაუთმეს და გაფაციცებით დაუწყეს ცქერა, რას იზამსო.

— ჩქარა, ჯაპანი მომიტანეთო!

ჯაპანი მოურბენინეს. ყარფუზამ ჯაპანი მორის სიმსხო მკლავზე საიმედოდ დაიხვია, მერე ქვემოთ ურმის თავში და ბოღოში გამოაბმევინა, „ოჰოო“—დაიძახა და შეშით გაბიქნული ურემი, თვალისდახამხამებაში გზაზე დააყენა.

— აუჰ!—გუღზე ხელს ირტყამდნენ ყმაწვილები! შენ გენაცვალე, ძია ყარფუზავ!..

ერთ ღღესაც ყარფუზა შინ ოჯდა და საწისქვიდან მეზობელს ღოლაბს უკოდავდა, რომ მასთან კურდღეღაანთ ვანო მოვარდა და ჰაიჰარა მოახსენა: არიქა, ყარფუზ, გვიშველე, შენი ჭირიმე, ღაფანაანთ გოგიას ბატონის გამოგზავნილი მგელ-ვასუა მიუვარდა და სცემსო.

ყარფუზამ მაშინვე საქმეს თავი მიანება და გაჯაგლეუჯით გავარდა.

— ვაიმე, ხაღხო!—ღრიალებდა მიწაზე დაგდებული გოგია,—მომკღეს, მიშველეთ!

— მგელ-ვასუას საბრალო გოგია ფეხქვეშ ამოეღო და უმოწყალოდ სცემდა.

— რაზე სცემ, კაცო?—გამოეკოცოდა ყარფუზა,—რა დაგიშავა ამ ბედშავმა?

— შენი საქმე არ არის!—შეუბღვირა ვასუამ,—დააშავა და ვცემ!

— მაინც რა დააშავა?

— ის დააშავა, რომ ჩვენს ბატონსა ვაღი არ გადაუხადა!

— ტყუის, ხაღხო!—აწუწუნდა გოგია,—რა ვაღი, რის ვაღი, ერთი თვე მამუშავეს ვირივითა, მერე პანღური მკრეს და გამაგდეს. ახლა კიდევ იქითა მთხოვენ ვაღსა, გაგონილა?

— ერიჰაა!—გაბრაზდა ყარფუზა,—ეგრე კი არ უნდა. კაცის ცემა, ვასო, აბა, მიყურე!

ეცა ყარფუზა მგელ-ვასუას, ხელი დასტაცა, ვაცივით აიტაცა მაღლა და მიწაზე დაანარცხა. ერთი სიტყვითა, ისე მიგიბერტყავთ ის მგელ-ვასუა, რომ რაც სიგრძე ჰქონდა, ის სიგანე მისცა. მერე ჭიტღაყი ამოჰკრა და გააგდო.

— წადი, სადაც შენი ღაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვიო!—მიაძახა და თანაც სიცილი მიაყოლა.

ბატონი გაბრაზდა,—ყმა რა უფლებით მიცემესო. ყარფუზა ღაპატიმრეს და ბნელ ღილეგში ჩაამწყვდიეს. მთელი სოფელი აღსდგა ყარფუზას დასაცავად; ბატონს კაცებს უგზავნიდნენ, ყარფუზა ჩვენი სოფლის თვალია და აპატიეო. მაგრამ ამაოდ, გაგაუღისებული ბატონი თხოვნას ყურად არ იღებდა. ის კი არა და, იფიქრა: მე რომ ეს კაცი გავანთავისუფლო, ხალხს მთელ თავს გაუვაო და გადაწყვიტა, ურჩი ყმა, სიკვდილით დაესაჯა. მაგრამ არ იცოდა როგორ.

ამ ღროს ერთი მოხუცი ეახლა ბატონს და მოახსენა:

— ღიდო ბატონო, მე თუ ნებას მომცემთ, ისეთ რამეს გირჩევთ, ღიდად კმაყოფილი ღარჩებით.

— აბა, მოხუცო, რას მეტყვი?—ღაინტერესდა ბატონი.

— თქვენს ბაღში რომ უცნაური მცენარეა, ხომ გინახავთ?

— როგორ არა? მერე?

— მერე ღა, მოგეხსენებათ, იმის ნაყოფს ჯერ არავინ გაჰკარებია, ყველას ეშინია, არ მოგვწამლოსო. ავდგეთ და იმ ურჩ ყმას ვაპამოთ.

ბატონს ჭკუაში ღაუჯდა. მორთული-მოკაზმული გამობრძანება ბაღში.

მთელ სოფელს იქ მოეყარა თავი. მოიყვანეს ყარფუზა.

— ხალხო!—თვალი გადაავლო გეზეობას ბატონმა,—ამ ნაყოფს ყარფუზა თქვენს წინაშე შეჭამს. თუ გადარჩა, სიცოცხლეს ვაჩუქებ, თუ არა და ყველაფერი თავის თავს ღააბრალოს!

ხალხი ახმაურდა, აყვირდა, ნუ აჭმევთ, მოკვდებაო, ვინ ღაუგდო ყური: გამოიყვანეს ყარფუზა, ღასვეს ერთ ალაგას, ბატონისა და ხალხის მიერ ღაწუნებული ნაყოფი ცხვირწინ ღაუხვავეს და უბრძანეს, ჭამეო.

ნაშიმშილევი ყარფუზა, აბა, რას ღაგიღევდა,

ოღონდაც რითიმე ამოევსო მუცელი! ერთი კი დაიძახა, მშვიდობით ხაღხოო! და ყველაზე მოზრდილ ნაყოფს დანა დაუსვა.

უნდა გენახათ ყარფუშა რა მადიანად მიირთმევდა წითელად მოღადღადე ნაყოფს. თვალებაღქცეული ბატონი და მისი ამაღა გაოცებით შესცქეროდნენ ყარფუშას.

ყარფუშამ ერთი გროვა დაამთავრა და მაღაზე მოსულმა, მეორედ მოითხოვა, მომიტანეთო. მოუტანეს.

— ყარფუშ, როგორა ხარ, ბიჭო?—ეკითხებოდნენ გლეხები, აქეთ-იქიდან.

— იიფ!—იცით რა გემრიელია, ძმებო. აბა, გასინჯეთ, ნუ გეშინიათ, არ მოგკლავთ!—ხარ ხარებდა ყარფუშა.

ჯერ ერთმა გლეხმა მოუსინჯა გემო უცხო ნაყოფს, მერე—მეორემ. ბოლოს იხუვლა ხაღხმა და ბაღს მოედო.

ახლა ბატონსაც მიართვეს და ურჩიეს, გემო გასინჯეთო. ბატონმა, გემო კი არა, ისე ესიამოვნა ხილი, რომ კიდევ მოითხოვა.

პირობა-პირობა იყო, ყარფუშას სიცოცხლე აჩუქეს და გაათავისუფლეს. ხოლო მის პატივსაცემად ამ უგემრიელეს და უტკბეს ხილს ხაღხმა შეარქვა ყარფუში, რომელსაც ჩვენში საბამთროსაც უწოდებენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარგვე ბიჭი

გივი ჭიჭინაძე

იცით გელა
რასა თლის?
ღირღიტელა
ღარსა თლის.
მიუმარჯვებს
წყაროსა
წვრილ ღარს
საწანწკაროსა;
ჩამოივლის მწყურვალი
წყალს დალევს და
დალოცავს.

ნახატები თემურ ჩირინაშვილისა

გიას ნერგები

ზურაბ ლორთქიფანიძე

ცოტა ბებო მომეხმარა,
ცოტა ბაბუ მომეხმარა...—
დილდილობით წყალს ვუსხამდი
და ნერგებმაც გაიხარა.

ცოტა ქარმაც გაგვაწყალა,
ცოტა თხამაც არ გვაცალა,—
ქარმა ტოტი მოაძტვრია,
თხამ ფოთოლი გაიცალა.

ბებო აბობს:—ნერგის დარგვა
როდი კმარა, ჩემო კარგო,—
ჭიგო უნდა შეუყენო,
მეფეთ უნდა შემორაგვო.

და ჩვენც უქმად არ ჩაგვივლის
რაც კი გვეშრომ-გვეწყალია...—
გია—ინბანს,
ნერგები კი
ვაშლის მოსხმას ისწავლიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პურის ნატეხი

მიხეილ შილდელი

ნახატები რევაზ ცუცქირიძისა

პატარა ლევანი, ზაფხულში თბილისიდან პაპასთან ჩავიდა სოფელში. ტოლებთან ლახტს თამაშობდა, ღელეში ბანაობდა, ტყეში სოკოს საკრეფად დადიოდა. ძალიან მოსწონდა ლევანს სოფელი.

ერთ დღეს პაპამ უთხრა:

— ლახტის თამაში და ცურვა, რომ ისწავლე, ეგ ძალიან კარგია, მაგრამ კაცმა შრომაც უნდა იცოდეს, ხვალ ვენახს ვთოხნი და მომეხმარე.

ლევანი სიხარულით ცას ეწია.

— შენ პატარა თოხი მიშოვე, პაპა, და მთელ დღეს შენთან ერთად ვიმუშავებ.

მეორე დღეს დილაადრიან შეუდგნენ ვენახის თოხნას პაპა და შვილიშვილი. მზე კარგად რომ ამოიწვერა, უკვე ორი სვე ჰქონდათ გატანილი.

— კარგად ვიმუშავეთ და ახლა საუზმე ალალია ჩვენზე, მოდი დავნაყრდეთ, უთხრა პაპამ ლევანს.

იქვე კაკლის ძირას გააწყვეს სუფრა, საუზმე რომ დაამთავრეს და სუფრას ალაგებდნენ, ლევანმა დარჩენილი პურის ნატეხი მიწაზე გადააგდო. პაპა წამოდგა, პურის ნატეხი აიღო, სული შეუბერა, გაწმინდა და ლევანს საყვედურით მიმართა:

— მეორედ აღარ გაბედო პურის გადაგდება, შენ იცი რამდენი შრომა და გარჯა სჭირდება პურის მოყვანას? ქართველი კაცი პურს არასოდეს გადააგდებს.

— არა, პაპა არ ვიცი,—დარცხვენით მიუგო ლევანმა.

— თუ არ იცი, მოისმინე და კარგად დაიხსომე,—უთხრა პაპამ.— უპირველეს ყოვლისა, შემოდგომაზე მიწას ტრაქტორებით ხნავენ, შემდეგ სათესი მანქანებით პურის მარცვლებს თესენ, შემდეგ რკინის ფარცხებით ფარცხავენ, რომ მიწა გაფხვიერდეს და ხორბალი დაფაროს, თუ დიდი თოვლი მოვიდა მით უკეთესი, ჩათესილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდვრებს საბანივით გადაეფარება, ქარისა და ყინვისაგან იცავს, გაზაფხულზე კი თოვლი დნება, მიწა ნოტიოვდება და მარცვალიც კარგად ღივდება. მაისში კი როდესაც ჯეჯილი წამოიზრდება, მთელი სოფელი, დიდი და პატარა ყანას მივაშურებთ, ვმარგლავთ, სარეველა ბალახებს ვაცლით, რომ პურს ზრდა არ შეუშალოს. ივლისში პურის თავთავი ოქროსფრად დამწიფდება, თავს დახრის, დამძიმდება, უკვე მკა და ლეწვა იწყება კომბაინით. შემდეგ ხორბალს მანქანებით გადაზიდავენ და დიდ კალოზე დაახვავებენ, იქ კი სანიავებელი მანქანებით ანიავებენ, მინარევს აცლიან, გააშრობენ, გამშრალ ხორბალს დიდ ბეღლებში ინახავენ, ბეღლებიდან კი წისქვილებში მიაქვთ და ფქვავენ, ფქვილს საცხობებში აგზავნიან, იქ ზელავენ, მარილით აზავებენ და აცხობენ.

ლევანს შერცხვა:—მაპატიე, პაპა! არ ვიცოდი თუ პურის მოყვანას და გამოცხობას ასე დიდი შრომა სჭირდებოდა, პურის ნატეხს არასოდეს აღარ გადავაგდებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაცვეკვაო

ჰეგის ჰქაჰდა ერთი
ქხიარული ბატი,
ცეკვაჰდა და სტოდა,
როგორც აკრობატი.
ო, რა ბატი იყო,
ბატი აკრობატი!

სალამურის ხმაზე
ჰეგის თეთრი ლეკვი,
დაუვლიდა ლეკურს
ქხიარული ეეფით.

კიდეკ ჰქაჰდა ჰეგის
ბებრუსანა ვაცი,
წვერით სვეტდა ეზოს
ვაცი, როგორც კაცი.
ჰა, იცეკვე ჰეგი!

ნახატი **სოფიო ქინწარაშვილისა**

იყიდეთ ხახვი

იყიდეთ ხახვი, სტაფილო, სოკო,
იყიდეთ ჩვენი კუდრაჭა გოგო.
არ გვინდა ხახვი, სტაფილო, სოკო,
ჩვენ გვინდა მარტო კუდრაჭა გოგო.

თარგმნა **ნარგიზა მგელაძემ**

საპნის ყვავილი

შალვა გიგაშვილი

ნახატები ედუარდ ამბროკაძისა

ლელა და გელა და-ძმანი არიან. ლელა ორი წლით უფროსია გელაზე. დედამ ისინი ცოტა ხნით ეზოში დატოვა, სათონედან თბილი შოთები მოიტანა, ჩაი ააღუღა, კარადის ქვედა თაროდან ყველი გამოიღო, ზედა თაროდან მურაბის ქილა გადმოდგა და გაოცებულმა იკითხა:

— მურაბა სად გაქრა?!

— მე, ის... მე მურაბა... არ მიჭამია!—თქვა ლელამ.

— ბიჭო, იმდენი მურაბა რამ შეგაჭამა?!—ახლა გელას მიუბრუნდა დედა.

— მთელი დღე ბაღში ვიყავი, როგორ შევჭამდი!

— ორივე უარობთ... აბა, ლოქაფა რუსიკოს შეუსანსლია.

ლელას გაეცინა.

დედამ იფიქრა, სწორედ ლელას მიურთმევიაო და გაუწყრა:

— აი, შე მსუნაგო, შე ცრუპენტელა!

— დედას გეფიცები, გემოთიც არ გამისინჯავს!

დაეჭვებულმა დედამ ახლა ბიჭი გაკიცხა.

გელა მიხვდა, ქურდობასა და მატყუარობას მაბრალებენო, შეურაცხყოფისაგან გული ეტკინა და თვალები აუწყლიანდა.

დედა ჩაფიქრდა, აღარ იცოდა, მტყუანი როგორ გამოეტეხა. რაღაც მოისაზრა. ერთ ხანს იყოყმანა, მერე გავიდა გარეთ, ყვავილნარში თეთრად მოქათქათე ხუჭუჭა ყვავილები მოკრიფა, ოთახში შეიტანა, დაფურჩქნა... მისი ფურცლები ჯამფილაში ჩაყარა, ნელთბილი წყალი დაასხა, დასრისა და ხელის საპონივით ააქაფა.

გოგო-ბიჭები გაოცებულნი შესცქეროდნენ, რას აკეთებსო.

დედამ ჩაის ნაცვლად ფინჯნებში საპონწყალი ჩაუსხა და ბრძანა:

— დალიეთ!.. კარგი ჭამა-ფიცილები ბრძანდებით, მაგრამ მეც კარგი რამ მოგიმზადეთ. ხუთიოდი წუთში' გავიგებ, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი... აბა, მალე!..

ეს გაიგო თუ არა, ლელა შეტრიალდა, ისკუპა, კარი გამოაღო და ეზოში გავარდა. გელამ კი ფინჯანს ზიზღით დაავლო ხელი და ის იყო, საპონწყლის სმა უნდა დაეწყო, რომ დედამ გამოსტაცა და უთხრა:

— სიმართლე მინდოდა გამეგო, თორემ საპონწყალს როგორ დაგალევინებთ!

გელა შეეხვეწა:

— დედა, ჩემო დედიკო, დამალევინე, და გაიგებ, რომ მატყუარა არა ვარ, არა!

დედამ გელას შუბლზე აკოცა და უთხრა:

— დედა გენაცვალოს, უკვე კარგად გავიგე, შენ მართალი ხარ, ლელა კი...

ამ დროს კარზე კაკუნი გაისმა. დედას ლელა ეგონა და გასძახა:

— შემოდი, შემოდი, შე მატყუარა, ჩაი დავლიოთ, ჩაი...

ოთახში მეზობელი დიასახლისი შემოვიდა, მიესალმა და მათი ფაიფურის ჯამი მაგიდაზე დადგა.

— ქალბატონო ნატო, დიდი მადლობელი ვარ. სამი დღეა, ჩემს ავადმყოფ ბიჭს არაფერი უგემნია... თქვენი გოგონას მოტანილი მურაბა კი ესიამოვნა: ჩაიც დალია და ნახევარი ფუნთუშაც გიახლა... გახალისდა და ახლა ლელას ეტიტინება... დიდი მადლობა!

ცეცვა

გრიგოლ ციციშვილი

ცეცვას გიგა ნანი,
უფროსდებს კაბა.
— აბა, განი, განი!
ტაში, ტაში, აბა!

ალისფერი ბაფთაც
შეალაზრებს თმაში.
— ძიიწ-ქიიწ!
ტაში, ტაში, ტაში!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამუნია

ნელი დარსაველიძე

— თამუნია ციცქნაო,
თარეს წვდები მლივსაო,
ეგ სათვალე ნეტავ რად
დაისკუნე ცხვირსაო?
— ვიდრე ჩემი ბებია
მორჩებოდეს მილსაო,—
ამ სათვალით მანამდე,
წაგიკითხავ წიგნსაო!

თუთა

მსარგაშლილო თუთაო,
მოდი, შეკერათ ფუთაო,
აბრეშუმის ჭია მყავს
და ფოთოლი უნდაო,
კაბა მიყვარს ხიზია,
მგელი გამიხუნდაო.

ᲛᲔᲚᲐ

ლექსი ᲚᲔᲘᲚᲐ ᲔᲠᲐᲫᲘᲡᲐ

მუსიკა ᲯᲔᲛᲐᲚ ᲐᲚᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

Moderato

mp ე-პა-რე-ბა სო-ფელს მე-ლა მო-დის ნე-ლა ნე-ლა რა ი-ცი-ან წი-წი-ლებ-მა

ვერ ხე-და-ვენ ბნე- ლა მა-გრამ ფხი-ზლობს ა-ვი მუ-რა ვა-ი მე-ლას ბრა-ლი

მისამღერი:

თავს გას-წი-რავს ო-ლონდ პირ-შავს და-ფ-ბნე-ლოს თვა- ლი დე- ლა-სა

mf

დე-ლი დე-ლა-სა ა-ბა-დე-ლი დე-ლა-სა-ო და დე-ლი-ა-ო

1. 2.

და ა-ბა-დე-ლა და და

ეპარება სოფელს მელა,
მოდის ნელა, ნელა,
რა იციან წიწილებმა
ვერ ხედავენ, ბნელა.

მაგრამ ფხიზლობს ავი მურა,
ვაი, მელას ბრალი,
თავს გასწირავს, ოღონდ პირშავს
დაუბნელოს თვალი.

მისამღერი: დელასა დელი, დელასა,
აბადელი* დელასაო და
დელიაო და აბადელი და.

ახალმოსახლეები



ამირან ბოქელავაძე

ვანამ ძიწა თხარა ნიჩბით,
შაქრამ ზიდა თვითმცლელით,
ეია დუდაბს ამზადებდა,
ეელამ რანდა ფიცრები...

ააშენეს დიდი სახლი,
შიგ გაძართეს კერია...
მეზობლებიც მოიწვიეს,
ცეკვავენ და ძღერიან.

ამოცანა

გიორგი მეგრაველი

დედა ზღარბმა მოაგროვა
შვიდი ცალი მწიფე მსხალი,
ორი მაშინ გადასანსლა,
რომ დაეია ცივი წყალი.
სამი ცალი კიდევ მაშინ,
რომ გააღო ეზოს კარი...
გამოიცან თუ ბიჭი ხარ:
ზღარბს რამდენი დარჩა მსხალი?!

რებუსი — გამოცანა



შედგენა ბათუმის მე-9 საშუალო სკოლის მეორე კლასის მოსწავლემ ნიკოლოზ შავდიამ.

მთავარი რედაქტორი **მუხრან მაჭავარიანი**

სარედაქციო კოლეგია: **კუპური გოგიტაშვილი, ლეილა ერანძე, ჯემალ ლოლუა, ზურაბ ლომიძე, მაყვალა მრევლიშვილი, იორამ ქუმელაძე (პ/მგ მდივანი), შალვა ცხადაძე (ხანმ. რედაქტორი), ბეჟი ქნელაძე**

ხაჭ. ალკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი.

ყოველ სამი თვეში **ზურაბ ფორჩხიძისა** გამოცემის 46-ე წელი.

ტექრედაქტორი **ბ. რობინშვილი**

ხაჭ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; გამყოფ. — 93-98-19; სამდივნისა — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 29/V-73 წ., ხელმოწერილია ოფსეტურად 24/VIII-73 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/16 ოფset ნაბ. ფორმ. 2,5, ტირაჟი 159.700 შეკვ. № 1884. „Дила" № 9. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.

6. 49/163

„პეიზაჟი“ — ნახ. ზურაბ სოზაშვილისა. სოფ. გიორგიწმინდა.

„ბალი“ — ნახ. გელა გოდერძიშვილისა. გიორგიწმინდა.

„ყვავილები“ — ნახ. ლია გოდერძიშვილ. ს. გიორგიწმინდა.

„ქალთევზი ქალი“ — ნახ. ქეთევან შოთაშვილისა, სოფ. ნინიწმინდა

„ხურა“ — ნახ. დავით კონჯარიაშვილისა, გიორგიწმინდა.
„ბოშა გოგონა“ — ნახ. ხათუნა კუნჭულიასი, 5 წ. თბილისი.
„დევი“ ნახ. — სლავა ბანძელაძისა, 5 წ. გულრიფში.

76055